ბოლნისის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის 2017 წლის 14 ივლისის N1 ოქმის დანართი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე

1. შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია		
1_1	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაციის სამუშაოები
1_2	სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება)	შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები მოცემულია დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა); ნახაზები და სპეციფიკაციები -- 22 ფურცლად.
1_3	ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა	ხარჯთაღრიცხვა -- დანართი N1
1_4	სამუშაოს შესრულების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე
1_5	სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა თამარისის წყალსადენის ამორტიზირებული დამწნეხი მილდენის რეაბილიტაცია
1_6	შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა	1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადაა -- დასრულებულ საამშენებლო სამუშაოებზე შესაბამისი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) კალენდარულ დღეში. (აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით).
		2. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის გარანტია 2.1 შესრულებულ სამუშაოზე შემსრულებლის მიერ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 15 კალენდარულ დღეში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტია, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს სრული ღირებულების 2,5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ვადას (დეფექტების ან/და ნაკლების პასუხისმგებლობის პერიოდი -- დასრულებულ საამშენებლო სამუშაოებზე შესაბამისი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან ერთი წელი). 2.2 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
		3. სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში გაწერილ ვადებში შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი უპირობო გამოუთხოვადი შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის გარანტია სრულად.
		4. თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

2. ტექნიკური მოთხოვნები		
2_1	ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის/მწარმოებელი კომპანიისა და მოდელის შესახებ	არ მოითხოვება
2_2	ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ	1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2013 წლის 1 იანვრიდან -- 2017 წლის 10 ივლისამდე პერიოდში, მინიმუმ 500000 (ხუთასი ათასი) ლარის - ანალოგიური (წყალსადენის ან/და კანალიზაციის ან/და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა ან/და რეაბილიტაცია ან/და შეკეთება) სამუშაო(ები)ს შესრულების გამოცდილება.
		2. პირველ პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებ(ებ)ა, მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტ(ებ)ი.)) წარმოდგენილ იქნას დანართი N3-ის შესაბამისად, სისტემის მეშვეობით)
		3. იმ შემთხვევაში თუ, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშოები განეკუთვნება(განხორციელებულია) სახელმწიფო შესყიდვებს და აღნიშნული ინფორმაცია ***სრულად*** (ხელშეკრულებ(ებ)ი; შესრულების/მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა) იძებნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (გებ-გვერდზე -- www. procurement.gov.ge). ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტი თავისუფლდება მე-2 პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებისაგან და მოეთხოვება მხოლოდ დანართი N3-ის სრულყოფილად შევსებული ფორმა (ასეთ შემთხვევაში დანართი N3-ის ცხრილის მე-3 სვეტში კონკრეტული ტენდერის SPA ან/და CMR ნომრის მითითება სავალდებულოა).
		4. იმ შემთხვევაში თუ, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშოები არ განეკუთვნება(არ განხორციელებულა) სახელმწიფო შესყიდვებს შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ის დოკუმენტაცია, რომელიც არ არის მოთხოვნილი მე-2 პუნქტში (შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანგარიშფაქტურები, საბანკო ამონაწერები და ა.შ).
		5. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ -- დანართი N3
2_3	ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ	არ მოითხოვება
2_4	ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ	არ მოითხოვება
2_5	სამუშაოს შესრულების ვადები (გეგმა-გრაფიკი)	1. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს დანართი N2-ის პირობებით განსაზღვრული და მის მიერვე შევსებული სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის ფორმა.
		2. სამუშაოს შესრულების გემა-გრაფიკი -- დანართი N2
2_6	ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ	არ მოითხოვება
2_7	ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით	არ მოითხოვება
2_8	მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ	არ მოითხოვება

2_9	სხვა დამატებითი მოთხოვნები	1. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია: 1.1 დანართი N1 -- ხარჯთაღრიცხვა; (როგორც Excel-ის; ისე PDF ფორმატში) 1.2 დანართი N3 -- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ; 1.3 დანართი N2 -- სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი.
		2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
		3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;
		4. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
		5. შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა. 5.1 დასრულებულ (სრული შესრულებული) სამუშოებს ჩაუტარდება საინჟინრო ექსპერტიზა. 5.2 საინჟინრო ექსპერტიზას საკუთარი ხარჯებით ახორციელებს შემსრულებელი. 5.3 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებიდან (სრული შესრულებული სამუშაოს აქტის (ორმხრივად ხელმოწერილი საბოლოო ფორმა N2) გაფორმებიდან) მაქსიმუმ 50 კალენდარულ დღეში შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა. 5.4 სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტს დაუდგება ვალდებულება დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა. 5.5 5,3 ქვეპუნქტში მოთხოვნილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
		6. სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მშენებლობის პროცესში საჭიროებისამებრ, მოითხოვოს გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის შესაბამისი სერტიფიკატ(ებ)ი.
		7. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან
		8. შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობებისა და ეკოლოგიურად მისაღები გზით. ამასთანავე ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები: 8.1 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა; 8,2 მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და და მთვრის გავლენა. 8,3 სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა. 8,4 სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებების და შუქნიშნების დაყენება.
		9. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).
3. შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა		

3_1	ნიმუში ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნა	არ მოითხოვება
4. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი		
4_1	სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20 %-ით ან მეტით კლების შემთხვევაში	1. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობა დაასაბუთოს აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს დაფარავს პრეტენდენტი)
		2. პირველ პუნქტში ასახული ფაქტის დადგომის შემთხვევაში მაგრამ აუცილებლად ტენდერისათვის „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭებამდე, სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტს განესაზღვრება ვადა -- 7 (შვიდი) სამუშაო დღის ოდენობით აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის სისტემის მეშვეობით წარმოსადგენად.
		3. დასკვნის დედნის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს დაუდგება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში).
		4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დედანი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციაში და დაბრუნებას არ ექვემდებარება.
		5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.
		6. პრეტენდენტი ვალდებულია დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა.
		7. დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა ან/და სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ/დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შეუსაბამო დასკვნის წარმოდგენა ან/და არააკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა -- გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი		
5_1	საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი	მოითხოვება (მიუხედავად იმისა რომ შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რადგან სამუშაოს მოცულობები და შესაბამისად შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და სამუშაოების გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის საჭიროება გამოწვეულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი მოითხოვება, – შესაძლოდ მინიმალური რაოდენობით)
5_1_2	იურიდიული პირისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
5_1_3	ინდივიდუალური მეწარმისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
5_1_4	ფიზიკური პირისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

5_1_5	ამხანაგობისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
5_1_6	მიუთითეთ არარეზიდენტი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
5_1_7	წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის წაყენებული მოთხოვნები	1. პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი: -- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია		
6	ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია	მოითხოვება
6_1	ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა	3%
6_2	სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა	10%
6_3	მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა	ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას.
6_4	გარანტიის პირობები	1. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში 6,1 და 6,2 პუნქტებში მოთხოვნილი პროცენტული რაოდენობები განახევრდება. 2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
7. ანგარიშსწორების პირობები		
7_1	წინასწარი ანგარიშსწორება	არ გამოიყენება
7_2	ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები	1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
		2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
		3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (არანაკლებ 50000 ლარის შესრულებულ სამუშაოზე), ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
		4. შემსრულებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე, ეტაპობრივი ანგარიშწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 80%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, 7-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით.
		5. საბოლოო ანგარისწორება (სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ფარგლებში) განხორციელდება -- შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციის 1,6 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მოთხოვნილი საგარანტიო ვადის უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი გარანტიის წარმოდგენის შემდეგ (2,9 პუნქტის 5,5 ქვეპუნქტში ასახული ან და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში - შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდიდის შემდეგ).
7_3	ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები	7-2 პუნქტის მე-3 და მე-5 ქვეპუნქტებში განხილულ შემთხვევაში -- მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების პროექტი		
8_1	ხელშეკრულების პროექტი	ხელშეკრულების პროეტი -- დანართი N5
9. საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია		
9_1	სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები	ნინო ელიკაშვილი, 599859853, bolnisisafinanso@yahoo.com
10. დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები		
10_1	დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები	1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
		2. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს სატენდერო კომისია.
		3. იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემები. კერძოდ: 3.1 სათაო კომპანიის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გამოყენების შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მ/ჩ აქტები, დადასტურებული ა/ფაქტურები, სამუშაოების დასრულების სერთიფიკატები ან სხვა ანალოგიური დოკუმენტაცია). 3.2 სათაო კომპანიიდან, 3,1 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, ისინი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა.
		4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
		5. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია კონკრეტულ ელექტრონულ ტენდერში ”ხელშეკრულება დადებულია”, ”დასრულებულია უარყოფითი შედეგით” და ”ტენდერი შეწყვეტილია” სტატუსებიდან -- ერთ-ერთის მინიჭებამდე.
		6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.